ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

24 აპრილი , 2013 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებულ N 723 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე	/მერაბ ბოჭოიძე/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/ვაჟა ილურიძე/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ქრისტინე დარჩია/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/თეა ონიანი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“

ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების
შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი

14.05.2013 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერაბ ბოჭოიძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი;
პაატა გაფრინდაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ნაკაშიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ადმინისტრაციული სამსახურის მთ.მენეჯერი;
ვაჟა ილურიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მენეჯერი;
ნიკოლოზ ანთიძე – საკონკურსო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის მენეჯერი;
გიგლა ჭანუყვაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის მთ. კოორდინატორი;
ქრისტინე დარჩია – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის თანამშრომელი;
ნინო ნოზაძე – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფრ.კოორდინატორი;
გიორგი მისრიაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი – ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფრ.კოორდინატორი;
თეა ონიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – იურიდიული სამსახურის მთ.კოორდინატორი;
გუგა გოგაძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციული სამსახურის მთ.კოორდინატორი.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებული N723 კონკურსის შედეგების განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 3 (სამი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

1. შპს „რესტავრატორები და კომპანია“ - ღირებულებით 19 990,24 ლარი;
2. ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“ - ღირებბულებით 20 000 ლარი;
3. შპს „კარაბანი“ - ღირებულებით 19 998 ლარი.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები,

<u>შპს „რესტავრატორები და კომპანია“-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაზე:</u>

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტი შედგება კონკურსის პირობებით გათვალისწინებული რამდენიმე ქვეთავისაგან.

აბანოს დაზიანებების და არსებული მდგომარეობის შეფასების ნაწილი წარმოდგენილია ზოგადად და. შეიცავს ნაგებობის მდგომარეობისა და დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესახებ მოკლე ინფორმაციას.

დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი გრაფიკული მასალა. წარმოდგენილია მხოლოდ რენდერები, ფოტომონტაჟი და არსებული მდგომარეობის ფოტოფიქსაცია. ასევე წარმოდგენილია სამომავლო არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში გადახურვის განვითარების სქემა.

მოცემული საკონკურსო წინადადება და აბანოს გადახურვის ფანჩატურის ტიპის კონსტრუქცია წარმოადგენს გვერდით მდგარი შენობის დაპატარავებულ მოდელს, რომლის ვიზუალური მხარე არ არის შთამბეჭდავი და არქეოლოგიური გათხრების აღქმის თავლასზრისით გაუმართლებელია.

<u>ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა“-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაზე:</u>

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტი შედგება კონკურსის პირობებით გათვალისწინებული რამდენიმე ქვეთავისაგან.

ნაგებობის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები დაცვის მეთოდოლოგიისთვის წარმოდგენილია საკმარისად ვრცლად, შეიცავს ყველა საჭირო ცნობას აბანოს მდგომარეობის შესახებ, ასევე დაზიანების გამომწვევი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრისთვის აუცილებელ ღონისძიებათა სრულ ჩამონათვალს.

დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია: გრაფიკული მასალა - აბანოს გეგმა, სიტუაციური გეგმა, კონსერვაციის გეგმა განათების სისტემის დატანით, გადახურვის კონსტრუქციის ჭერის განშლა (განათების სისტემის დატანით), რენდერები და ფოტომონტაჟი.

მოცემული საკონკურსო წინადადება და აბანოს გადახურვის მსუბუქი, თანამედროვე მასალებით შესრულებული კონსტრუქცია ვიზუალურად მისაღებია, მისი ფორმა და იერ-სახე შეესაბამება არსებულ გარემოს.

<u>შპს „კარაბანი“-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაზე:</u>

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტი შედგება კონკურსის პირობებით გათვალისწინებული რამდენიმე ქვეთავისაგან.

ნაგებობის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები დაცვის მეთოდოლოგიისთვის წარმოდგენილია საკმარისად ვრცლად, შეიცავს ყველა საჭირო ცნობას აბანოს მდგომარეობის შესახებ, ასევე დაზიანების გამომწვევი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრისთვის აუცილებელ ღონისძიებათა სრულ ჩამონათვალს.

დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია: გრაფიკული მასალა - აბანოს გეგმა, სიტუაციური გეგმა, კონსერვაციის გეგმა განათების სისტემის დატანით, გადახურვის კონსტრუქციის ჭერის განშლა (განათების სისტემის დატანით), რენდერები და ფოტომონტაჟი.

მოცემული საკონკურსო წინადადება და აბანოს გადახურვის მსუბუქი, თანამედროვე მასალებით შესრულებული კონსტრუქცია ვიზუალურად მისაღებია, მისი ფორმა და იერ-სახე შეესაბამება არსებულ გარემოს.

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა მომხრეა მიღებულად ჩაითვალოს კონკურსანტის - შპს „კარაბანი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის - შპს „კარაბანი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „კარაბანი“.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია“;

4. ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტებს.

კომისიის თავმჯდომარე	/მერაბ ბოჭოიძე/
კომისიის წევრი	/პაატა გაფრინდაშვილი/
კომისიის წევრი	/გიორგი ნაკაშიძე/
კომისიის წევრი	/ვაჟა ილურიძე/
კომისიის წევრი	/ნიკოლოზ ანთიძე/
კომისიის წევრი	/გიგლა ჭანუყვაძე/
კომისიის წევრი	/ქრისტინე დარჩია/
კომისიის წევრი	/ნინო ნოზაძე/
კომისიის წევრი	/გიორგი მისრიაშვილი/
კომისიის აპარატის წევრი	/თეა ონიანი/
კომისიის აპარატის წევრი	/გუგა გოგაძე/

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/431 "14" 05 2013წ.

შპს „კარაბანი"-ს დირექტორს
ლევან კეკენაძეს

მის: ქ.თბილისი, სოფ. დიღომი

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებული N723 კონკურსზე გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ში არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

მერაბ ბოჭოიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 12/08/2/430 "14" 05 2013 წ.

ააიპ „საქართველოს მემკვიდრეობა"-ს
გამგეობის თავმჯდომარეს კახა ტრაპაიძეს

მის: ქ.თბილისი, 0179, ბოცვაძის ქ. N2

ბატონო კახა,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებულ N723 კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კარაბანი".

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

მერაბ ბოჭოიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 10/08/2/429 "14" 05 2013წ.

შპს „რესტავრატორები და კომპანიის" დირექტორს
თამაზ იაქაშვილს

მის: ქ.თბილისი, ნუცუბიძის III-მრ II კვ. კორპ. 3ა

ბატონო თამაზ,

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ოზურგეთის აბანოს კონსერვაციისა და გადახურვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2013 წლის 12 აპრილს გამოცხადებულ N723 კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კარაბანი".

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

მერაბ ბოჭოიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. (+995 32) 93 24 11, 93 23 94
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Tel.(+995 32) 93 24 11, 93 23 94